ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4188572

ნომერი: AR1632521

თარიღი : 22.09.2018

გაცემის თარიღი : 26.09.2018

გაცნობის თარიღი : 08.11.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ეკა ბეჟანიშვილი , N 9;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რომანი ბზიავა პ/ნ 01019002879
- თბილისი დ.გურამიშვილის გამზ. N 1 ბ. 20

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 22 სექტემბრის AR1632521 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ეკა ბეჟანიშვილის ქუჩა

N9-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: # 01.12.12.005.009) სასტუმროს განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

საპროექტო მიწის ნაკვეთზე, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის მიხედვით, ვრცელდება ზოგადი საცხოვრებელი ზონა, რომლისთვისაც არ არის დადგენილი სამშენებლოდ განვითარების კონკრეტული პარამეტრები. აქედან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის სამშენებლოდ განვითარება უნდა მოხდეს ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ " ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით მუხლი 19–ის (სივრცით-ტერიტორიული განვითარების რეგლამენტების დადგენა ჩამოყალიბებული განაშენიანების პირობებში) მოთხოვნათა დაცვით. აქვე გაცნობებთ, საცხოვრებელ ზონა 1 (სზ–1), საცხოვრებელ ზონა 2 (სზ–2), საცხოვრებელ ზონა 3 (სზ–3), საცხოვრებელ ზონა 5 (სზ–5), საცხოვრებელ ზონა 6 (სზ–6)-ში სასტუმროს განთავსების საკითხი საჭიროებს სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას. აქედან გამომდინარე, საჭიროა მიმართოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს და განაცხადი ატვირთოთ ოფიციალურ პორტალზე - Urban.tbilisi.gov.ge, შესაბამის ნომენკლატურაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.